

07/06/2024



MES 2 24 0000635791

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 24. 05. 2024

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 16:50 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე

სხდომის მდივანი: ციური დურული

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27²-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- 1. თამარ ლომინაძე** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
- 2. გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
- 3. გიორგი ლაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- 4. დავით გეგეჭკორი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
- 5. ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
- 6. აკაკი ხელაძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
- 7. ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
- 8. თამარ ტუფინაშვილი** – შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
- 9. ვასილ კიკუტაძე** - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
- 10. დიანა მჭედლიშვილი** – შპს კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;

11. ქეთევან ნანობაშვილი – შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

12. ნინო ჭალაგანიძე - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერი; სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

13. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

1. **თამთა ანთიძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
2. **ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი:

1. **მიხეილ რუხაია** - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
2. **თამარ გვიანიშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

1. **დავით წასიძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
2. **ნიკა გიგაური** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი
3. **ირაკლი სოკოლოვსკი** - საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
4. **ირინე ბაქრაძე** - სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

1. **ქეთევან ჯინჭარაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2. **თამარ გვიანიშვილი** - პროგრამის ხელმძღვანელი

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

1. **ნინო ყურშუბაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2. **ციური ყურშუბაძე** - პროგრამის ხელმძღვანელი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

1. **თეონა ხუფენია** - პროფესორი, რექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი

2. ქეთევან ლატარია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. ბელა მოსია - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. ინგა აბრამიძე – ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
2. თეა კორძაძე – ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. შოთა ფოთოლაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2. ზვიად კვიციანი - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი

აკრედიტაციის ექსპერტები

1. სეიფედინ კადრი I
2. მაქსიმ იავიჩი I
3. ნინო პატარაია I
4. ვაჟა კელიხაშვილი I
5. გიორგი მახარობლიშვილი II
6. ბონდო კუპატაძე III
7. გივი სანაძე IV
8. ვალერი ჯაჯანიძე IV
9. ნინო ფხაკაძე VI
10. ემზარ კახიძე VII-VIII

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო სამართლის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

8. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა

1. **პირველი საკითხი:** შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი

საფეხური - ბაკალავრიატი

სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი / Bachelor of Computer Science

დეტალური სფეროს კოდი - 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა თამარ ტუფინაშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, სეიფედინ კადრი აკრედიტაციის საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა. მისი პოზიცია პროგრამასთან დაკავშირებით, რომელიც მან გამოაგზავნა წერილის სახით, აკრედიტაციის საბჭოს წევრებს გააცნო უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, თამთა ანთიძემ. სეიფედინ კადრიმ წერილში აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი შედგა 2024 წლის 13 მარტს, სადაც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა

პერსონალს, სტუდენტებსა და პროგრამის პოტენციურ დამსაქმებლებს. მისი თქმით, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაიკა რეკომენდაციები სტანდარტის სამი კომპონენტის, ხოლო რჩევები ხუთი ქვესტანდარტის მიმართებით, რომელიც წარმოადგენდა შემდეგს: რეკომენდებულია სწავლის შედეგების გადახედვა, რათა ამ შედეგების გაზომვა ეფექტური იყოს. ეს შესაძლებელს გახდის პროგრამის შემდგომ გაუმჯობესებას. მაგალითად, სწავლის შედეგების ნაწილს ჰქონდა ერთზე მეტი გაზომვადი ზმნა. შესაბამისად, სასურველია ეს შედეგი დაიყოს სხვადასხვა სეგმენტებად და თითოეულ სეგმენტს შეესაბამებოდეს ერთი საზომი. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო გეგმას. რამდენიმე კურსი არჩევითის ნაცვლად უნდა იყოს სავალდებულო სახით. გარდა ამისა, ზოგიერთი კურსის წინ უნდა იყოს წინაპირობა სხვებისთვის, რადგან სტუდენტთა პროგრესი და წარმატება არ დადგეს ექვექვემ. მაგალითად, „ხელოვნური ინტელექტის“ წინაპირობად უნდა ჰქონდეს „ხელოვნური ინტელექტის საფუძვლები“ ან „შესავალი ხელოვნური ინტელექტში“, რაც გააუმჯობესებს სტუდენტების წარმატების მაჩვენებელს. სეიფედინ კადრიმ წერილში აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ადამიანურ რესურსებს, კერძოდ, პერსონალს. მისი თქმით, ზოგიერთ პერსონალს არ აქვს სათანადო კვალიფიკაცია, რაც შესაბამის გავლენას იქონიებს სწავლებაზე და სწავლის შედეგების მიღწევაზე და სტუდენტების უკმაყოფილებაზე. შესაბამისად, გადასახედია ზოგიერთი პირის შემთხვევაში რეზიუმეები და გამოცდილება, რათა დანიშნული პირების სასწავლო კურსები შეესაბამებოდეს მათ კვალიფიკაციას. დაწესებულებამ უფრო ყურადღებით უნდა გაითვალისწინოს დამსაქმებლის გამოხმაურება საგნებთან დაკავშირებით. სასურველია, რომ „მონაცემთა უსაფრთხოების“ კურსის სახელწოდების ნაცვლად პროგრამასა და სილაბუსებს შორის იყო შესაბამისობა. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს აფილირებული დაწესებულებასთან, რათა მეტი დრო და ყურადღება დაეთმოს მისი მხრიდან პროგრამას. ასევე სასურველია ხელოვნური ინტელექტის ლაბორატორიას ჰქონდეს მეტი სათანადო ინსტრუმენტი მხოლოდ კომპიუტერული ლაბორატორიისგან განსხვავებული. მან ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულების მხრიდან აუცილებელია მეტი დაგეგმარება და ბიუჯეტირება პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, თამარ გვიანიშვილი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები არის ობიექტური და შესრულებადი. რეკომენდაციებისა და რჩევების ერთი ნაწილი გათვალისწინებულია, ხოლო მეორე ნაწილზე მიმდინარეობს მუშაობა. ეს პროგრამა არის მნიშვნელოვანი არა მხოლოდ შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისთვის, არამედ საქართველოსთვის. ეს მოსაზრება იმით არის განპირობებული, რომ პროგრამა განხორციელდება გერმანულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, რომელიც შესაბამისი პროექტის ფარგლებში იქნება დაფინანსებული. მისი თქმით, 2025 წელი არის "0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზის" კლასტერის აკრედიტაციის პერიოდი. შესაბამისად, 2025 წლამდე პროგრამის მიმართ გაცემული ყველა რეკომენდაცია და რჩევა გათვალისწინებული იქნება.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მიხეილ რუხაიამ განაცხადა, რომ პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაციები განმავითარებელი ხასიათისაა, რომელიც ახლო მომავალში შესრულებული იქნება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რატომ შემოიფარგლა დაწესებულება ზედაპირული შრომის ბაზრის კვლევის შემუშავებით. მისი თქმით, პროგრამით გათვალისწინებულია B1 დონის ინგლისური ენა ორი სემესტრის განმავლობაში. მას აინტერესებდა, რამდენად უზრუნველყოფს B1 დონის ინგლისური ენა სტუდენტის წარმატებით მონაწილეობას საერთაშორისო კონკურენციაში.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მიხეილ რუხაიამ განაცხადა, რომ ამ დარგის მიმართულებით როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ იმდენად პრობლემურია კადრები, რომ შრომის ბაზრის კვლევის ჩატარებას აზრი არ ჰქონდა. ეს არის ერთადერთი პროგრამა, რომელიც ხელოვნური ინტელექტის ყველა დარგს მოიცავს. აღნიშნული შრომის ბაზრის კვლევა ჩატარდა პროფესორის სხვა უნივერსიტეტში სწავლების შესახებ ინფორმაციის მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შრომის ბაზრის კვლევაში გაითვალისწინა პროგრამისთვის სხვადასხვა ქვეყნებში არსებული საჭიროებები კერძოდ, აშშ-ს შრომის სტატისტიკის ბიუროს და ლიგდინის მონაცემები. გარდა ამისა, კანადის, ჩინეთის, საფრანგეთის, ავსტრალიისა და გერმანიის სტატისტიკური მონაცემები. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტი დაეყრდნო გერმანიის უნივერსიტეტის მოსაზრებას ამ პროგრამის აქტუალობის შესახებ.

თამარ გვიანიშვილმა განაცხადა, რომ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს აქვს ბევრი გაცვლითი პროგრამა. გარდა ამისა, დაწესებულებას ჰყავს 72 საერთაშორისო და 42 დარგობრივი პარტნიორი. პროგრამა ახალია და ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს. მისი თქმით, ერთიან ეროვნულ გამოცდაზე აბიტურიენტის მიერ ინგლისური ენის არჩევა გულისხმობს B1 დონეზე ენის ფლობის დადასტურებას. შესაბამისად, დაწესებულება პროგრამაში ვერ გაითვალისწინებდა ინგლისური ენის უფრო მაღალ დონეს. ინგლისური ენის უფრო მაღალი დონის შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ არჩევითი სასწავლო კურსებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანი ჭელიშვილმა განაცხადა, რომ როდესაც პროგრამას მიენიჭება აკრედიტაცია, მაშინვე პროგრამაში გათვალისწინებული იქნება გერმანული ენის კომპონენტის გაძლიერება, რომლის ლექტორი სრულად მოემსახურება "კომპიუტერული მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს და მოამზადებს მათ გერმანიაში სწავლის გაგრძელებისთვის. საბჭოს წევრმა, გოჩა თუთბერიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რა გახდა 4.1 ქვესტანდარტში მოცემული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. გარდა ამისა, ახორციელებს თუ არა დაწესებულება ამჟამად ხელოვნურ ინტელექტთან მიმართებაში სამაგისტრო პროგრამას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ მოცემულ რეკომენდაციაში საუბარია სამ ადამიანზე. მაგალითად, ერთ-ერთ ლექტორს კვალიფიკაციად მითითებული ჰქონდა „ეკონომიკის დოქტორი“, თუმცა რეალურად ის იყო „ინჟინერიის დოქტორი“ საინფორმაციო ტექნოლოგიებში. ეს რეკომენდაცია დაკავშირებულია როგორც ხარვეზის აღმოფხვრის, ისე ამ მიმართულებით გაუმჯობესებაზე. შესაბამისად, ამ ადამიანებს ჰქონდათ სასწავლო კურსების წაყვანის გამოცდილება, თუმცა არ უდასტურდებოდათ კვალიფიკაცია. მისი თქმით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „DevOps“-ის სამაგისტრო, ხოლო „ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში“ სადოქტორო პროგრამა. თუ აღნიშნული პროგრამა მიიღებს აკრედიტაციას, მომავალში შესაძლებელი იქნება ამ მიმართულებით სამაგისტრო პროგრამის შემუშავება.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, „წრფივი ალგებრის“ სასწავლო კურსს არ უწერია წინაპირობა. გარდა ამისა, „მენეჯმენტის საფუძვლები“ მითითებულია მესამე სემესტრში, ხოლო „ინოვაციების მენეჯმენტი“ მეორე სემესტრში. მას აინტერესებდა, არის თუ არა ეს ტექნიკური ხარვეზი.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, თამარ გვიანიშვილმა განაცხადა, რომ „მენეჯმენტის საფუძვლები“ და „ინოვაციების მენეჯმენტი“ ისწავლება დაწესებულების ყველა საბაკალავრო პროგრამაზე. ეს სასწავლო კურსები ისწავლება

„ბიზნეს ადმინისტრირება- მენეჯმენტშიც“, რომელმაც 2023 წელს გაიარა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობა. შესაბამისად, ამ სასწავლო კურსების ასეთი თანმიმდევრულობა გამოწვეულია იმით, რომ დაწესებულებამ იხელმძღვანელა სასწავლო კურსით „ბიზნეს ადმინისტრირება - მენეჯმენტში“. ამ უკანასკნელშიც „მენეჯმენტის საფუძვლები“ მითითებულია მესამე სემესტრში, ხოლო „ინოვაციების მენეჯმენტი“ მეორე სემესტრში.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამის მიმართ გაიცა შემდეგი რჩევა: „ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა სადიპლომო ნაშრომი გახდეს სავალდებულო საგანი“. მას აინტერესებდა, როგორი იყო დაწესებულების პოზიცია აღნიშნულ რჩევასთან დაკავშირებით.

თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებამ დააფიქსირა თავისი პოზიცია არგუმენტირებულ პოზიციაში. მისი თქმით, „საბაკალავრო ნაშრომი“ წარმოადგენს ისეთივე სასწავლო კომპონენტს, როგორც ნებისმიერი სასწავლო კურსი. „საბაკალავრო ნაშრომი“ მხოლოდ ხელს უწყობს გარკვეული უნარების განვითარებას. სტუდენტს უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ ობიექტური საჭიროების არარსებობის პირობებში განავითაროს ის უნარები, რომლებიც მისთვის მომავალში მნიშვნელოვანი იქნება სხვა არჩევითი სასწავლო კურსების მეშვეობით. თუ სტუდენტს ექნება სურვილი განავითაროს ნაშრომის წერის ტექნიკა, მაშინ მან უნდა აირჩიოს სასწავლო კურსი „საბაკალავრო ნაშრომი“. შესაბამისად, დაწესებულება ყველა სტუდენტს აძლევს საშუალებას, რომ შექმნას თავისი საგანმანათლებლო ინდივიდუალური ტრაექტორია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მიხეილ რუხაიამ ვასილ კიკუტაძის მიერ დასმულ შეკითხვასთან კერძოდ, „წრფივი ალგებრასთან“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასწავლო კურსი „წრფივი ალგებრა“ არის წინაპირობის გარეშე. საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს პროგრამის სწავლის შედეგებთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სწავლის შედეგებში არის ორი ზმნა გამოყენებული და მისი გაზომვა უფრო ეფექტური იქნება ერთი ზმნის შემთხვევაში. მისი თქმით, დარგობრივი მახასიათებლები ითვალისწინებენ ორ ზმნას სწავლის შედეგებში. მას აინტერესებდა, შესაძლებელი იყო თუ არა აღნიშნული რეკომენდაცია რჩევის სახით ყოფილიყო დასკვნაში. ექსპერტმა მაქსიმ იავიჩმა აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა თუ აღნიშნული რეკომენდაცია რჩევის სახით იქნებოდა მოცემულ დასკვნაში. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ აღნიშნულ რეკომენდაციაზე მას არ უმუშავია, არამედ ის გასცა საერთაშორისო ექსპერტმა.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, „ელექტრომაგნიტიზმის საფუძვლებს“ წინაპირობად განსაზღვრული აქვს ინგლისური ენა B2 დონეზე. მას აინტერესებდა, რით არის განპირობებული ეს.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მიხეილ რუხაიამ განაცხადა, რომ სტუდენტი ამ საგანს გადის ინგლისური ლიტერატურით. შესაბამისად, ამიტომ უწერია „ელექტრომაგნიტიზმის საფუძვლებს“ წინაპირობად ინგლისური ენა B2 დონეზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:43

დასრულების დრო: 15:08

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 დამე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 დამე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27²-ემუხლის პირველი პუნქტის, 27⁵-ემუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶-ემუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმის წარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავროსაგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2025 წლის 31 დეკემბრამდე, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბოლოოდ საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, კურსი პროგრამული ინჟინერია გახდეს სავალდებულო საგანი.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ კურსს „მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმები (C++, II; ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B2) / B2 დონე“ - წინაპირობად დაემატოს დისკრეტული მათემატიკა.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ კურსი OOP-ი Python-ში შევიდეს სავალდებულო საგნებში და ვებ დეველოპმენტის კურსი Python-ში იყოს ცალკე კურსი (DJANGO ან FLASK); სავალდებულო ლიტერატურა უნდა მოიცავდეს კურსის ყველა თემას.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, „ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების საწყისების“ კურსს წინაპირობად ჰქონდეს კურსი „ხელოვნური ინტელექტის საწყისები“. ხელოვნური ინტელექტის, ეთიკისა და სამართლის კურსს წინაპირობად უნდა ჰქონდეს ხელოვნური ინტელექტის არსი.
- რეკომენდებულია, პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად დაემატოს კვლევითი ან პრაქტიკული სახის პროექტის/ნაშრომის შესრულება.

კომპონენტი 4.1. ადამიანური რესურსები

- ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას აძლევს, ბტუ-ს დეკანს და პროგრამის ხელმძღვანელს, გადაამოწმონ სასწავლო ჯგუფის კვალიფიკაცია და კომპეტენცია. მაგალითად: ნ. გ. არის ხელოვნების სპეციალისტი და ვერ ასწავლის კომპიუტერულ ხედვა-ს; ნ.-მ არ იცის აღნიშნული კურსის თემები; დ. გ. ეკონომიკის სპეციალისტია და არა ხელოვნური ინტელექტის სპეციალისტი; გ. დ.-ს, როგორც ჩანს, არ აქვს კრიპტოგრაფიისა და მონაცემთა მეცნიერების სწავლების კომპეტენცია, მას შეუძლია ასწავლოს ელექტრომაგნიტიზმის საფუძვლები.

რჩევები:

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები

- სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის გაღრმავება ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების სიღრმისეულად შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე.

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა, რათა მათი გაზომვა ეფექტური იყოს. მაგალითად, პროგრამის მე-4 სწავლის შედეგს (აღწერს პროგრამირების სხვადასხვა ენის თავისებურებებს, ადარებს მათ ეფექტურობას კონკრეტული პრობლემის მიმართ და ირჩევს საუკეთესოს) აქვს ორი გაზომვადი ზმნა, სადაც არ ჩანს არანაირი პროცესი, რითაც გაზომვისას მოხდება მათი გაყოფა. პროგრამის პირველ სწავლის შედეგს აქვს მრავალი კომპონენტი. ეს კომპონენტები უნდა გაიყოს ან ხელახლა დაიწეროს.

კომპონენტი 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა პროგრამაში მეტი ყურადღება დაეთმოს დამსაქმებლის უკუკავშირს.

კომპონენტი 1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ შემოწმდეს კურსი „მონაცემთა უსაფრთხოება“, რადგან მას პროგრამასა და სილაბუსში განსხვავებული სახელები ჰქვია. ბტუ-ში არსებული მექანიზმების შემდგომი გაუმჯობესებისთვის ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა სილაბუსები მოიცავდეს კურსის სწავლის შედეგსა და პროგრამის სწავლის შედეგს შორის შედარების რუკას და დეტალური შეფასების რუბრიკებს კურსებისთვის რომლებიც მოიცავს რბილ უნარებს.

კომპონენტი 4.1. ადამიანური რესურსები

- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ ბტუ-მ პრიორიტეტი მიანიჭოს პროგრამის აფილირებული პერსონალით გაძლიერებას; პროგრამის ხელმძღვანელიც სასურველია იყოს უნივერსიტეტთან აფილირებული.

კომპონენტი 4.4. მატერიალური რესურსები

- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ ბტუ-მ უფრო ძლიერი მანქანები განათავსოს ხელოვნური ინტელექტის ლაბორატორიაში.

კომპონენტი 4.5. პროგრამის/ვაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

- წლიური ბიუჯეტის გონივრული დაგეგმვის უზრუნველსაყოფად, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, სტრატეგიის ფორმულირება და პერსონალის განვითარების მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის შეგროვება.

2. მეორე საკითხი: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო სამართლის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - საერთაშორისო სამართალი

საფეხური - მაგისტრატურა

სწავლების ენა - ინგლისური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საერთაშორისო სამართლის მაგისტრი

დეტალური სფეროს კოდი - 0421 სამართალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი გიორგი მახარობლიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო სამართლის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაიცა სამი რეკომენდაცია. მისი თქმით, წარმოდგენილი მონაცემების, თვითშეფასების ანგარიშისა და დოკუმენტების საფუძველზე სამივე რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვა. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამაზე მისაღები გამოცდის ფორმის, შინაარსის, კრიტერიუმებისა და ვადების შესახებ ინფორმაციის დეტალურად დაკონკრეტებას და საჯაროდ გამოქვეყნებას, ასევე პროგრამის

განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციის განთავსებასა და ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის საიტზე. დაწესებულების ადმინისტრირების ქვეშ არსებული საიტის გაანალიზების შემდეგ, აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვალა. მეორე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს აქტიური პრაქტიკა, გაძლიერდეს კავშირები პროგრამის შესაბამის ორგანიზაციებთან და გაფორმდეს მემორანდუმები დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს შერჩევის წინაპირობებსა და წესებს იმ შემთხვევისთვის, თუკი ორგანიზაცია თავად შეარჩევს სტუდენტებს. ასევე განისაზღვროს შესასრულებელი პრაქტიკული დავალებების მინიმალური რაოდენობა და სახეობა.“ მან აღნიშნა, რომ სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით მაგისტრატურის საფეხურზე აუცილებელია პრაქტიკის განხორციელება. გარდა ამისა, ეს დოკუმენტი ითვალისწინებს დაწესებულების მიერ სტუდენტთა რაოდენობის მითითებას. უნივერსიტეტმა წარმოადგინა განახლებული მემორანდუმები, საიდანაც 5 არის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების გაცემის შემდგომ გაფორმებული. საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო პრაქტიკის სავალდებულო კურსი, რომლის ძირითადი მიზანია სტუდენტს მისცეს პრაქტიკაზე დაფუძნებული განათლება საერთაშორისო სამართალში, შესძინოს საერთაშორისო სამართლის თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილებათა მიღების უნარი. შესაბამისად, მეორე რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვალა. მესამე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „უნივერსიტეტის მარეგულირებელ აქტებში უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად ჩაიწეროს შეფასების ის კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება იმის დასადგენად, თუ რომელი აკადემიური პერსონალისა და პირის წახალისება მოხდება სამოტივაციო და წამახალისებელი მექანიზმებით და დეტალურად აღიწეროს განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული შედეგების ანალიზის პროცესი.“ მან აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშავა „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და აკადემიური პერსონალის დატვირთვის სახელმძღვანელო“, სადაც განსაზღვრულია აფილირებული აკადემიური პერსონალის კვლევითი/შემოქმედებითი პროდუქტიულობის წახალისების წესი. აღნიშნული რეგულაცია ითვალისწინებს კვლევითი საქმიანობის საქმიანობის კატეგორიებს, რომლის გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში დაწესებულება ითვალისწინებს ერთჯერად ფინანსურ მხარდაჭერას და მისი განხორციელების პროცედურებს. ამრიგად, მოცემული რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, პროგრამის მიმართ გაცემული იყო სამი რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:18
დასრულების დრო:15:19

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო სამართლის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^ბ - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო სამართლის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

3. მესამე საკითხი: შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ისტორია

საფეხური - ბაკალავრიატი

სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ისტორიის ბაკალავრი

დეტალური სფეროს კოდი - 0222 ისტორია და არქეოლოგია

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნასა. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ბონდო კუპატაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაიცა ოთხი რეკომენდაცია და თხუთმეტი რჩევა. მისი თქმით,

დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა. რჩევებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა რჩევების ერთი ნაწილი გაიზიარა, ხოლო მეორე ნაწილზე მიმდინარეობს მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია ეხებოდა კურიკულუმის რუკაში შინაარსობრივი უზუსტობების გამოსწორებას. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა ლიტერატურას. ზოგიერთ სილაბუსში შემცირდა სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის რაოდენობის ჩამონათვალი. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა რეცენზენტის ქულის ქულობრივი წილის გაზრდას და ხელმძღვანელის წილის მინიმუმამდე დაყვანას ან გაუქმებას. და ბოლოს, მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შემუშავებულ კურიკულუმის რუკაში და მისგან გამომდინარე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში არსებული შინაარსობრივი უზუსტობის და შეუსაბამობის გასწორების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან სამუშაო შეხვედრების წარმართვას, ისევე როგორც შედეგებზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან. რჩევებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა რჩევების ერთი ნაწილი გაიზიარა, ხოლო მეორე ნაწილზე მიმდინარეობს მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, მეთორმეტე რჩევა დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „სასურველია, შეფასების გასაჩივრების მექანიზმის შემთხვევაში, კომისიის შემადგენლობიდან შემფასებელი ლექტორის ამოღება“. მას აინტერესებდა, გაითვალისწინა თუ არა აღნიშნული რჩევა უნივერსიტეტმა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ გაუგებარია ამ რჩევის არსებობა დასკვნაში იმიტომ, რომ უნივერსიტეტის არცერთი დოკუმენტით არ დასტურდება ნაშრომის შემფასებელი ლექტორის მონაწილეობა კომისიის შემადგენლობაში.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, საბაკალავრო ნაშრომის შეფასებისას ხელმძღვანელის წილი როგორ განისაზღვრა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპეტენცია შემდეგნაირად გადანაწილდა: 20 ქულა ხელმძღვანელი, 40 ქულა რეცენზენტი და კომისია. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, დასკვნაში ერთ-ერთი რჩევა შემდეგი სახით იყო მოცემული: „სასურველია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერების მიზნით უნივერსიტეტმა და პროგრამის აკადემიურმა გუნდმა გააქტიუროს მუშაობა“. მას აინტერესებდა, როგორ აპირებს უნივერსიტეტი ამ რჩევის შესრულებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ დაახლოებით 20 დაწესებულებასთან გაფორმდა მემორანდუმი გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე ორი სტუდენტი მიდის „ERASMUS+“ პროგრამით საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:51
დასრულების დრო: 15:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^ბ - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის "ნავსადგურის ტრანსპორტის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ნავსადგურის ტრანსპორტის ინჟინერია

საფეხური - ბაკალავრიატი

სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ტრანსპორტის ინჟინერიის ბაკალავრი

დეტალური სფეროს კოდი - 0716 ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი გივი სანაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის "ნავსადგურის ტრანსპორტის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ეხებოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით, პროგრამის შესაბამისობის დადგენას. შეფასების ფარგლებში, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიმართ გაიცა ოთხი რეკომენდაცია. მისი თქმით, რეკომენდაციები ეხებოდა სწავლის შედეგების რუკაში საბაკალავრო ნაშრომის დამატებას, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების განსაზღვრას, რიგ სასწავლო კურსებში სალექციო თემატიკის, სწავლის შედეგებისა და სწავლების მოცულობის გადახედვას. ამრიგად, დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ნინო ყურშუბაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტმა სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები. სწავლის შედეგების რუკაში დაემატა საბაკალავრო ნაშრომი. პროგრამაში განისაზღვრა ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები და რიგ სასწავლო კურსებში სალექციო თემატიკა, სწავლის შედეგები და სწავლების მოცულობა გადაიხედა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას და ექსპერტებს. მისი თქმით, პროგრამაში წარმოდგენილია სწავლის შედეგები, რომლებშიც არ ჩანს გაცნობის, გაღრმავებისა და განმტკიცების კომპონენტები. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი.

ექსპერტმა გივი სანაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ 2023 წლის სასწავლო რუკაში გამოსწორებული იყო ის ხარვეზები, რომლებიც ჰქონდა პროგრამას. დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ყურშუბაძემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილში არის ერთ-ერთი რუკა, რომელშიც მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის გასვლა შესაბამის დონეზე კერძოდ, „Low“ ნიშნავს გაცნობას, „Middle“ გაღრმავებას, ხოლო „High“ განმტკიცებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „გადაიხედოს კონკრეტული სილაბუსების სწავლის შედეგები, კერძოდ რამდენადაა შესაძლებელი აღნიშნული სასწავლო კურსით ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობა, და სწავლის შედეგები გაიწეროს კომპეტენციის კუთვნილების შესაბამისად.“ აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების შესახებ ინფორმაცია დასკვნაში არ ჩანს. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი.

ექსპერტმა გივი სანაძემ განაცხადა, რომ იყო რამდენიმე სასწავლო კურსი, რომელიც ბმაში არ იყო თემატიკასა და სწავლის შედეგებს შორის. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტები აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების დასტურად. ამის შესახებ ინფორმაცია კი აისხა დასკვნაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ყურშუბაძემ განაცხადა, რომ ჯამში 11 სასწავლო კომპონენტი გადაიხედა სწავლის შედეგების მიმართებასთან დაკავშირებით. იქ სადაც არ იყო მიღწევადი ავტონომიურობის უნარი ამოღებული იქნა. გარდა ამისა, დაზუსტდა უნარი და გარკვეული სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევისთვის მოცულობა გაიზარდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:37

დასრულების დრო: 15:40

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის "ნავსადგურის ტრანსპორტის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 31-ემუხლის 25-ეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის "ნავსადგურის ტრანსპორტის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგემურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ქართული ფილოლოგია

საფეხური - ბაკალავრიატი

სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი

დეტალური სფეროს კოდი - 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა

6. მეექვსე საკითხი: სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ქართული ლიტერატურის ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ქართული ლიტერატურის ისტორია

საფეხური - მაგისტრატურა

სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ქართული ლიტერატურის ისტორიის მაგისტრი

დეტალური სფეროს კოდი - 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხობა

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე და მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ნინო ფხაკაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაწესებულებამ რეკომენდაციების შესასრულებლად შესაბამისი სამუშაო გაწია. მისი თქმით, რეკომენდაციების შესასრულებლად განახლდა სასწავლო კურსები, შეივსო თანამედროვე ლიტერატურით სილაბუსები, გადაიხედა საგანმანათლებლო პროგრამა, დაზუსტდა სწავლის შედეგები, შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებსა და მათ შინაარსში ასახულიყო სწავლების მიზნები სრულფასოვნად, რათა გამორიცხული ყოფილიყო სწავლების მიზნების ორაზროვნება ცალკეული სასწავლო კურსების დონეზე. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების ადეკვატურად ასახვის მიზნით ცალკეულ სასწავლო კურსებში - „ქართველური სახელების ბრუნების პარადიგმაში“, „დიალექტოლოგიაში“ და ა.შ. დაზუსტდა სწავლების მიზნები და შინაარსი, რამაც განსაზღვრა სწავლების სფეროს, ფილოლოგიის დარგის, საბაკალავრო საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინება და იმის წარმოჩენა, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. შესაბამისად, პირველი რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვა. მეორე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „მოხდეს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში სწავლის შედეგებით განსაზღვრული საკითხების სრულფასოვნად ასახვა სასწავლო კურსებში“. დაწესებულებამ მოცემული რეკომენდაცია შეასრულა. რიგ სილაბუსებში ადეკვატურად აისახა საბაკალავრო პროგრამაში სწავლის შედეგებით განსაზღვრული საკითხები, რომლებიც ლოგიკურად განაპირობებს ქართული ფილოლოგიის უმაღლესი დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით მოსალოდნელი შედეგების მიღწევადობას. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა სწავლის შედეგების შეფასებაში სწავლების საკვანძო შედეგებისა და მისი შესაბამისი სასწავლო კურსების ასახვას. დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია შეასრულა. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ გადამუშავებულიყო თემატიკები და შევსებულიყო კლასტერში გაერთიანებული სასწავლო კურსები თანამედროვე სახელმძღვანელოებით და ნაშრომების მიხედვით. მისი თქმით, აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ გაითვალისწინა. მეხუთე რეკომენდაცია ეხებოდა ცალკეული კურსების სახელწოდებების ცვლილებას, რომელიც უნივერსიტეტმა შეასრულა კერძოდ, „ქართველურ ენაკილოთა სახელის პარადიგმას“ ეწოდა „ქართველური სახელების ბრუნების პარადიგმა“. გადამუშავდა თემატიკა. ამ სახით იგი მიესადაგა პროგრამის მიზნებსა

და შედეგებს, ასევე ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს. მეექვსე რეკომენდაცია ეხებოდა „დიალექტოლოგიის“ სასწავლო კურსის შესაბამისი თემატიკებით შევსებას და მის სახელწოდების ცვლილებას „ქართული დიალექტოლოგიით“. დაწესებულებამ შეასრულა მოცემული რეკომენდაცია. „დიალექტოლოგიის“ სასწავლო კურსს ეწოდა „ქართული დიალექტოლოგია“ და შეივსო შესაბამისი თემატიკით. მასში დიფერენცირებულად განიხილება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დიალექტები. ნინო ფხაკაძის თქმით, მეშვიდე რეკომენდაცია ეხებოდა „დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიისა“ და „დასავლეთის ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი პრობლემების“ თემატიკისა და შინაარსობრივი მხარის გადახედვას. აღნიშნული რეკომენდაცია უნივერსიტეტმა გაითვალისწინა. მეცხრე რეკომენდაცია ეხებოდა შესაბამის სასწავლო კურსების ლიტერატურით გამდიდრებას. „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“ და „პალეოგრაფია“ განახლდა თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომებით. შესაბამისად, დაწესებულებამ შეასრულა ეს რეკომენდაცია. მეცხრე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „გაუმჯობესდეს ხელმძღვანელთა კონსულტაციები საკვალიფიკაციო ნაშრომებში აკადემიური წერის სტანდარტების შესრულების შესახებ. რეცენზენტებმა რეცენზირებისას აჩვენონ რეალური უკუკავშირი, ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეებით და რეკომენდაციებით.“ ნინო ფხაკაძის თქმით, აღნიშნული რეკომენდაცია მეტწილად შეასრულა დაწესებულებამ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა კონსულტაციები და გაიცა რჩევები აკადემიური წერის სტანდარტების შესახებ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის. უსდ ზრუნავს კვლევითი ნაშრომის აკადემიურ გამართულობაზე და აცნობიერებს ამ პროცესში რეცენზირების კომპონენტის მნიშვნელობას. უსდ-ს განმარტებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა კონსულტაციები რეცენზირების შესახებ. აღნიშნული მიმართულებით დაიგეგმა აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ტრენინგები 2024 წელს. წარმოდგენილი მასალა ადასტურებს, რომ დაგეგმილი ღონისძიებების ნაწილი უკვე განხორციელდა. აღნიშნულის შედეგები სამომავლოდ უნდა აისახოს კონკრეტულ ნაშრომებთან მიმართებით. მეათე რეკომენდაცია ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომში კვლევითი კომპონენტის გაუმჯობესებას, საკვლევი პრობლემატიკის მიზნობრივ იდენტიფიცირებას, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების სათაურების დახვეწას, აკადემიური ნაშრომის შესრულების სტანდარტის დაცვას, ნაშრომებში რელევანტური სამეცნიერო წყაროებისა და სამეცნიერო სტილის გამოყენებას. აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ მეტწილად შეასრულა. მისი თქმით, დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია აკადემიური წერის სტანდარტების ამაღლებაზე ზრუნვა. უსდ აცნობიერებს სამეცნიერო ბაზების წვდომასა და კვლევაში მათ ჩართვაზე სტუდენტების ცოდნის დონის ამაღლების საჭიროებას. მიუთითებს, რომ სამეცნიერო ბაზების, რელევანტური სამეცნიერო წყაროების გამოყენების, სამეცნიერო სტილის დაცვის შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ჰორიზონტ ევროპის ოფისის წარმომადგენლის მიერ ჩატარდა ტრენინგები. აღნიშნულის შედეგები სამომავლოდ უნდა აისახოს კონკრეტულ ნაშრომებში.

ნინო ფხაკაძემ დაწესებულების პროგრამის მიმართ გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ ფაქტობრივად ყველა რჩევა გაითვალისწინა. მან აღნიშნა, რომ "ქართული ლიტერატურის ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაიცა შვიდი რეკომენდაცია. დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სწავლის შედეგების შეფასებაში სწავლების საკვანძო შედეგებისა და მისი შესაბამისი სასწავლო კურსების ასახვის საჭიროებას. აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ შეასრულა. მეორე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „გადამუშავდეს თემატიკა და შეივსოს კლასტერში გაერთიანებული სასწავლო კურსები თანამედროვე სახელმძღვანელოებისა და ნაშრომების მიხედვით.“ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა მოცემული რეკომენდაცია. მთელ რიგ სილაბუსებში თემატიკა შეივსო თანამედროვე სახელმძღვანელოებისა და ნაშრომების მიხედვით კერძოდ, „ვაჟასმცოდნეობა“, „აკაკისმცოდნეობა“, „გალაკტიონოლოგია“, „ქართული ტექსტოლოგია“, „ქართული

ლიტერატურის სახისმეტყველებითი ასპექტები“ და ა.შ. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა „თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების ტენდენციების“ სასწავლო კურსის ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის მასალით შევსებას. დაწესებულებამ შეასრულა ეს რეკომენდაცია. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა მინიმუმამდე დაყვანას ან საერთოდ გამორიცხვას საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებში ხელმძღვანელის შეფასებას. დაწესებულებამ წარმოადგინა სათანადო მარეგულირებელი დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის გაწერილი ის თუ რა წილი აქვს ნაშრომის ხელმძღვანელს ნაშრომის შეფასებისას. ამ დოკუმენტში მითითებულია ასევე ისიც, რომ საბოლოო შეფასება სამაგისტრო ნაშრომის გამოითვლება კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულის გამოთვლით. მეხუთე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „გაუმჯობესდეს ხელმძღვანელთა კონსულტაციები საკვალიფიკაციო ნაშრომებში აკადემიური წერის სტანდარტების შესრულების შესახებ. რეცენზენტებმა რეცენზირებისას აჩვენონ რეალური უკუკავშირი, ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეებით და რეკომენდაციებით.“ უნივერსიტეტმა შეასრულა მოცემული რეკომენდაცია. უსდ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა კონსულტაციები და გაიცა რჩევები აკადემიური წერის სტანდარტების შესახებ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის. მეექვსე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს სამაგისტრო ნაშრომში კვლევითი კომპონენტი, მოხდეს საკვლევი პრობლემატიკის მიზნობრივი იდენტიფიცირება, დაიხვეწოს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების სათაურები, დაცული იყოს აკადემიური ნაშრომის შესრულების სტანდარტი, ნაშრომებში გამოყენებული იყოს რელევანტური სამეცნიერო წყაროები და სამეცნიერო სტილი.“ უნივერსიტეტმა აღნიშნული რეკომენდაცია მეტწილად შეასრულა. დაწესებულებას აქვს ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი. გარდა ამისა, მან წარმოადგინა ყველა იმ ღონისძიების ნუსხა, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური წერის სტანდარტების გაუმჯობესებას უნივერსიტეტში. აღნიშნულის შედეგები კი სამომავლოდ უნდა აისახოს კონკრეტულ ნაშრომებში. მეშვიდე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „სასურველია, სტუდენტებმა უფრო მეტად გამოიყენონ პრაქტიკულად სამეცნიერო ბაზები, რასაც ხელს შეუწყობს უცხო ენის ფლობის დონის გაუმჯობესება, რაც სათანადო პროგრამების ინტერესებშია.“ დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია შეასრულა. უნივერსიტეტი აცნობიერებს სამეცნიერო ბაზების წვდომასა და კვლევაში მათ ჩართვაზე სტუდენტების ცოდნის დონის ამაღლების საჭიროებას. სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ჰორიზონტ ევროპის ოფისის წარმომადგენლის მიერ ჩატარდა ტრენინგები. აღნიშნულის შედეგები უნდა აისახოს სამომავლოდ კონკრეტულ კვლევით ნაშრომებში. ნინო ფხაკაძემ დაწესებულების "ქართული ლიტერატურის ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ რჩევების დიდი ნაწილი გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ქეთევან ლატარია მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტმა სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები ორივე პროგრამასთან დაკავშირებით. რჩევებთან მიმართებით აღნიშნა, რომ ორივე პროგრამის მიმართ გაცემული რჩევების ერთი ნაწილი დაწესებულებამ შეასრულა, ხოლო მეორე ნაწილზე მიმდინარეობს შესრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაცემული მეათე რეკომენდაცია ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომში კვლევითი კომპონენტის გაუმჯობესებას. მისი თქმით, აღნიშნულ რეკომენდაციაში „სამაგისტრო ნაშრომი“ ექსპერტების მიერ ტექნიკურად ჩარჩენილია, რომელიც საჭიროებს გასწორებას. საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რატომ არის საჭირო სამაგისტრო ხელმძღვანელის შეფასების მინიმუმამდე დაყვანა ან საერთოდ გაუქმება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ქეთევან ლატარიამ აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ამზადებს დასკვნას სტუდენტის ნაშრომის შესახებ. ის მხოლოდ არ შედის შექმნილ კომისიაში სამომავლო ინტერესთა კონფლიქტის შექმნის მიზნით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:13

დასრულების დრო: 16:18

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ - ე მუხლის მე - 2 პუნქტის და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ქართული ლიტერატურის ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ - ე მუხლის მე - 2 პუნქტის და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ქართული ლიტერატურის ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

7. მეშვიდე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ისტორია

საფეხური - ბაკალავრიატი

სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ისტორიაში

დეტალური სფეროს კოდი - 0222 ისტორია და არქეოლოგია

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა დავით გეგეჭკორმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ემზარ კახიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაიცა ორი რეკომენდაცია. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსს. რეკომენდებულია ისტორიის დამატებითი პროგრამის სასწავლო გეგმა დამატებით გადამუშავდეს და დაკომპლექტდეს ძირითადად პროგრამაში არსებულ სავალდებულო საგნების ბაზაზე. გარდა ამისა, სასურველია მასში შეტანილი იქნეს არჩევითობის კომპონენტიც. დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია შეასრულა. საანგარიშო პერიოდში ისტორიის დამატებით ე.წ. „Minor“ პროგრამას დაემატა არჩევითობის კომპონენტი კერძოდ, „ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური ქვეყნების ისტორია“ 6 კრედიტი. ძირითადი პროგრამის მსგავსად დაიყო ორ სასწავლო კურსად. „ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია“ და „ანტიკური ქვეყნების ისტორია“. თითოეული მათგანის მოცულობა განისაზღვრა 5 კრედიტით და არჩევითი კურსის სახით შევიდა მესამე სემესტრის კურიკულუმში. მეორე სემესტრის სასწავლო კურსის „ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის უახლესი ისტორია XX საუკუნეში“ დასახელება გასწორდა ძირითადი პროგრამის შესაბამის საგნის „ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის უახლესი ისტორია 1918-1990 წლებში“. რეკომენდებულია გაფართოვდეს შინაარსის თემატიკა არაბული ქვეყნების კუთხით საგანში „ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების უახლესი ისტორია“, სადაც შინაარსში 10 კვირა თურქეთის, 4 კვირა ირანის, ხოლო 2 კვირა ისრაელს ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებს დაეთმობა.

აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ შეასრულა. საანგარიშო პერიოდში საგანში „ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების უახლესი ისტორიის“ სილაბუსის შინაარსის თემატიკა გაფართოვდა არაბული ქვეყნების „ეგვიპტე“, „ერაყი“, „ტრანს იორდანია“, „სირია“, „ლიბანი“ და „პალესტინა“ 1918-1945 წლების საკითხებით. გარდა ამისა, დაემატა თანამედროვე არაბულ ქვეყნებში მომხდარი საკვანძო ისტორიული მოვლენები, როგორცაა 1973 წლის ოქტომბრის ომი, 1982 წლის ლიბანის ომი, პირველი ინტიფადა, ერაყის ომი, ქუვეითის კონფლიქტი და 2003 წლის აშშ-ს შეჭრა ერაყში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პალესტინის სახის და მისი გადაწყვეტის მცდელობებს. ემზარ კახიძემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ არ გაცემულმა პროგრამის მიმართ რჩევები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, თეა კორძაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტმა სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:25

დასრულების დრო: 16:27

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ - ე მუხლის მე - 2 პუნქტის და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილიანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

8. მერვე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - არქეოლოგია

საფეხური - ბაკალავრიატი

სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - არქეოლოგიის ბაკალავრი

დეტალური სფეროს კოდი - 0222 ისტორია და არქეოლოგია

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაწილება

✓ კი

თვითაწილება განაცხადეს გიორგი დალანიძემ, ვასილ კიკუტაძემ და ნინო ჭალაგანიძემ.

თვითაწილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ემზარ კახიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაიცა რეკომენდაციები. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში აისახოს პროგრამის სწავლის შედეგები. მისი თქმით, წარმოდგენილ სამივე სილაბუსში კერძოდ, „ადრეული ლითონების ხანა საქართველოში“, „ანტიკური არქეოლოგია - კლასიკური და ელინისტური ეპოქაში“ და „კავკასიის არქეოლოგიაში“ წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგები: ცოდნა-გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. თითოეულ მათგანში შედეგები შეესაბამება სასწავლო კურსის მიზნებს. დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა. მან განაცხადა, რომ პროგრამის მიმართ გაიცა რჩევები კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოა, თუმცა ისინი მუდმივად ცხადად უნდა ჩანდეს სილაბუსში, სტუდენტთა სახელმძღვანელოში და ვებგვერდზე. მისი თქმით, ტრანსფერულ შედეგებზე და უნარებზე ყურადღების გამახვილება არსებითად მნიშვნელოვანია, რათა თითოეული პროგრამის ღირებულების კომუნიკაცია მოხდეს სამინისტროსთან, პოტენციური სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და პოტენციურ დონორებთან. რაც შეეხება ტრანსფერულ უნარებს, სწორედ მათზეა ძირითადი აქცენტი კლასტერული აკრედიტაციისთვის მზადებისას ჩატარებულ შრომითი ბაზრის ფართომასშტაბიან კვლევაში. შედგა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისობის ცხრილი არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. კვლევამ აჩვენა, რომ პროფილურ დამსაქმებელთა დიდი ნაწილი ჩართულია თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება - განვითარების პროცესში. რეკომენდებულია გაუმჯობესდეს სტუდენტის კმაყოფილების კვლევის სისტემა და ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი სახით (მათ შორის, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით) თითოეული მოდულისთვის, რაც უზრუნველყოფს ყველა მოდულის შეფასებას სტუდენტების მიერ საბოლოო ნიშნებისა და გამოცდების შედეგების გამოქვეყნებამდე. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით გაუმჯობესდა სასწავლო პროგრამების დასაქმების ბაზარზე მორგება, გაიზარდა სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვები. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა ახალი მექანიზმი - სტუდენტთა ინტერესების ჩაღრმავებული თვისობრივი კვლევა ფოკუს ჯგუფებთან ინტერვიუების საშუალებით. LMS.TSU.GE-სანაცვლად დაინერგა ახალი, ოპერაციულად უფრო სრულყოფილი და მრავალფუნქციური ელექტრონული სასწავლო

პლატფორმა uni.tsu.ge, რომელიც შექმნილია ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფით და გამართულია სერვერულად - შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ეს რეკომენდაცია შესრულდა. რეკომენდებულია, რიგი სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსისათვის განსაზღვრულ ECTS კრედიტებთან. მან აღნიშნა, რომ პროგრამის სასწავლო კურსების უმრავლესობაში სააუდიტორიო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ითვალისწინებს კურსების თავისებურებებს და არ აღემატება კვირეულ სამ საათს. საანგარიშო პერიოდში გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი რიგ სასწავლო დისციპლინათა სილაბუსებში (ადრეული ლითონების ხანა საქართველოში, ანტიკური არქეოლოგია (კლასიკური და ელინისტური ეპოქა), კავკასიის არქეოლოგია) როგორც სასწავლო მასალის, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. განახლდა და სისტემატიზებულ იქნა სასწავლო ლიტერატურა, მათ შორის, უახლესი გამოცემებით. ამრიგად, დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ დეპარტამენტმა განიხილოს მაგისტრანტების მიერ საბაკალავრო პროგრამებიდან არჩევითი საგნების აღების შესაძლებლობა, ბაკალავრიატის სტუდენტებისგან განსხვავებული შეფასებით (მათი სწავლების დონის ასახვის მიზნით). ქართულ ენაზე ონლაინ რიდერი შეიძლება იყოს წინგადადგმული ნაბიჯი ქართულ ენაზე განახლებული ბიბლიოგრაფიის ნაკლებობის დასაძლევად. გარდა ამისა, სასურველია თანხების მოზიდვა სტუდენტებისა და პერსონალისთვის პროექტებისა და კვლევების განხორციელების მეტი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. ასევე სასურველია, სილაბუსში (მაგალითად, „ანტიკურ“ არქეოლოგიაში (კლასიკური და ელინისტური ეპოქა, კავკასიის არქეოლოგია) ლექტორის მიერ შემოთავაზებული საკითხავი მასალა ჩამოყალიბდეს ცალ-ცალკე თითოეული თემისთვის და ჰქონდეს განსაზღვრული საკითხავი მასალა, სადაც მითითებული იქნება ავტორი, სათაური და შედგენის წელი. და ბოლოს, რეკომენდებულია, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში დაკონკრეტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები. მისი თქმით, სამ დისციპლინაში: ადრეული ლითონების ხანა საქართველოში, ანტიკური არქეოლოგია (კლასიკური და ელინისტური ეპოქა), კავკასიის არქეოლოგია განახლდა და სისტემატიზებულ იქნა სასწავლო ლიტერატურა, მათ შორის, უახლესი გამოცემებით. ამრიგად, დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ნინო კვირიკაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, დაწესებულებამ ერთი წლის განმავლობაში აქტიურად იმუშავა პროგრამის ხელმძღვანელთან და მის განმახორციელებელ გუნდთან ერთად რეკომენდაციებისა და რჩევების შესასრულებლად. ამრიგად, დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია და რჩევა გაითვალისწინა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:41

დასრულების დრო: 16:43

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ - ე მუხლის მე - 2 პუნქტის და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილიანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 16:50 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

